

საქართველოს იურისტთა კავშირი
GEORGIAN LAWYERS' UNION

СОЮЗ ЮРИСТОВ ГРУЗИИ

სამართალი

LAW

ПРАВО



ISSN 0868-4537

№ 11-12
2003

მეცნიერება
კუბლიცისტიკა
პრაქტიკა

SCIENCE
PUBLICISM
PRACTICE

НАУКА
ПУБЛИЦИСТИКА
ПРАКТИКА

საქართველო, თბილისი
GEORGIA, TBILISI
ГРУЗИЯ, ТБИЛИСИ

საერთაშორისო სამართალი

დავით გეფერძე

საჰაერო ხომალდის ლიზინგი საქართველოში სამართლის მიხედვით

ლიზინგი არის საიჯარო ურთიერთობების, საკრედიტო დაფინანსების, სახელშეკრულებო მოვალეობების მიხედვით ურთიერთანგარიშსწორებისა და სხვა საფინანსო ელემენტების ერთობლიობა. ამის შედეგად, ავიასაწარმოს ეძლევა აღჭურვილობის მინიმალური დანახარჯებით ექსპლუატაციის საშუალება.

ნებისმიერი ავიასაწარმო დაინტერესებულია ჰქონდეს შესაძლებლობა საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების ან საავიაციო საშუალების შესრულებისას რეალურად გამოიყენოს შესაბამისი საჰაერო ხომალდები.

ლიზინგის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს სხვადასხვა პირობით, ამასთან, ძირითადი სახეობებია იჯარა ან დაქირავება. ერთდროულად მასში შეიძლება შევიდეს ყიდვა-გაყიდვის და გარკვეულ შემთხვევებში (სრული იჯარის დროს), განსაკუთრებული მომსახურების გაწევა (ტექნიკური მომსახურების გაწევა, საჰაერო ხომალდების ეკიპაჟის გადაცემა, კადრების მომზადების ვალდებულება და სხვ.).

იჯარის დროს ობიექტი იჯარით ამლებს გადაეცემა მფლობელობაში, ლიზინგის დროს – სარგებლობაში. ამასთან, იჯარის ხელშეკრულებაში მონაწილეობს ორი მხარე; იჯარის ამლები და გამცემი. საჰაერო ხომალდის მიმართ, როგორც წესი, ეს არის ორი ავიასაწარმო, რომელთაგან ერთი, მის მფლობელობაში მყოფ საჰაერო ხომალდს, გადასცემს მეორე ავიასაწარმოს განსაზღვრული ვადით, გარკვეული რეისების, თუ საშუალების შესასრულებლად, ეკიპაჟით ან უამისოდ. ლიზინგის დროს ხელშეკრულების მონაწილეა სამი მხარე: აღჭურვილობის მწარმოებელი, სალიზინგო კომპანია (ორგანიზაცია, რომელიც აღჭურვილობას ყიდულობს პირველი მხარისაგან, მესამე მხარის ლიზინგით ამლების განაც-

ხადის მიხედვით) და ლიზინგით ამლები (ავიასაწარმო), რომელთანაც სალიზინგო კომპანია დებს სალიზინგო ხელშეკრულებას.

ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება ლიზინგის გამცემი და ამლები ქვეყნების კანონმდებლობით, აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

მაგალითად, ლიზინგი მჭიდროდ არის დაკავშირებული კრედიტებთან და, აქედან გამომდინარე, მისი დაცვის უზრუნველყოფი გარანტიების სისტემასთან. გარანტიისათვის, ძირითადად, გამოიყენება ლიზინგით გადასაცემი საჰაერო ხომალდის გირაოს უფლება, რას სამართლებრივად უნდა იყოს დაცული ყველა ქვეყანაში და, შესაბამისად, გათვალისწინებული უნდა იყოს ამ გირაოს შესაძლებლობა, მისი საჰაერო ხომალდების რეესტრში რეგისტრაციის დროს. ფუნქციის 1948 წლის კონვენცია „საჰაერო ხომალდებზე უფლებების აღიარების შესახებ“ საშუალებას იძლევა უფრო ეფექტურად, სამართლებრივი დაცვის უფრო მეტი ხარისხით იქნეს გამოყენებული საჰაერო ხომალდის ლიზინგის, იჯარისა და ქირავნობის სამართლებრივი სისტემა და ბანკები, როგორც წესი, საჰაერო ხომალდისათვის გაცემულ კრედიტს უზრუნველყოფილად განიხილავენ თუ ლიზინგის მიმღები სახელმწიფო არის ამ კონვენციის წევრი.

„საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის შესახებ“ 1988 წლის კონვენცია განმარტავს ლიზინგის არსს და არეგულირებს ლიზინგის მონაწილე მხარეების ურთიერთობებს (არეგულირებს ლიზინგში მონაწილე მხარეთა ურთიერთობებს და პასუხისმგებლობის ფარგლებს).

ამჟამად, რუსეთის ფედერაციაში მიმდინარეობს აღნიშნული კონვენციის განხილვა, რაც შეეხება

საქართველოს – აღნიშნული საკითხი განხილვის საგნადაც არ ქცეულა.

ლიზინგისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგადასახადო კანონმდებლობას, რადგან შეუძლია უზრუნველყოს ზოგიერთ ქვეყანაში საგადასახადო შეღავათები (მაგალითად, შეღავათები ახალ ტექნიკაში ჩადებული ინვესტიციებისას).

მსოფლიო პრაქტიკაში ლიზინგის დროს ფართოდ გამოიყენება დაფინანსება სესხის სახით, „კრედიტი ექსპორტის მიზნებისათვის“, რომელსაც გამოყოფს მთავრობა ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით. კრედიტის გაცემის ეს პროგრამები გათვალისწინებულია სპეციალიზებული სახელმწიფოს უწყებების მიერ გაცემული კრედიტის რისკის დასაფარავად.

საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს ლიზინგის მრავალი სახეობა:

ლიზინგი განსაზღვრული ვადით;

ფინანსური ლიზინგი

– საპაერო ხომალდი გადაეცემა სარგებლობაში ხანგრძლივი ვადით, თანაბარი ექსპლუატაციის ვადაში. ხელშეკრულების მოქმედების ვადის დამთავრებისას მომხმარებელს შეუძლია შეიძინოს საკუთრებაში, თუ ეს გათვალისწინებულია ხელშეკრულებით (ე.წ. „ოპციონი“). ამგვარად, ფინანსური ლიზინგი წარმოადგენს კრედიტირების ალტერნატივას.

ოპერატიული ლიზინგი

– საპაერო ხომალდების ლიზინგის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ხელშეკრულების დადება ხდება მოკლე ვადით, ვიდრე ექსპლუატაციის ვადა ან ხელშეკრულების დარღვევის (გაუქმების) უფლებით ექსპლუატაციის ვადის გასვლამდე. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ შეიძლება გაითვალისწინოს:

- 1) საპაერო ხომალდის დაბრუნება ლიზინგის მიმცემისათვის;
- 2) ხელშეკრულების გაგრძელება შემდეგი ვადით;

ობიექტის მომსახურებაზე

(ე.წ. სუფთა, მშრალი ლიზინგი)

– ლიზინგის ობიექტის (საპაერო ხომალდის) მომსახურება და მასთან დაკავშირებული ყველა ხარჯები ეკისრება ლიზინგის მიმღებს.

(ე.წ. სრული (სველი) ლიზინგი)

– ლიზინგის გამცემი უზრუნველყოფს გადასაცემი ობიექტის მომსახურებას უკვე შეთანხმებუ-

ლი და მოლაპარაკებული ხელშეკრულების ფარგლებში. საპაერო ხომალდებთან მიმართებაში ეს შეიძლება იყოს ტექნიკური მომსახურება, მომზადება და მფრინავი ტექნიკური პერსონალის ინსტრუქტირება.

დაფინანსებით

(ე.წ. პირდაპირი ლიზინგი)

ლიზინგის ობიექტის შეძენა ხდება ლიზინგის გამცემის მიერ მხოლოდ საკუთარი საშუალებით ბანკიდან და სხვა ორგანიზაციებიდან მის მიერ მიღებული კრედიტების ჩათვლით.

(ე.წ. უკულიზინგი)

ადგილი აქვს დამატებითი ფინანსური რესურსების მისაღებად ლიზინგის მიმღების საკუთრებაში მყოფი ძირითადი საშუალების დაგირავების ხარჯზე. ამასთან, დაშვებით ერთდროულად გამოდის როგორც ლიზინგის მიმღები.

გადახდით

სწრაფი

გადახდა წარმოებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ლიზინგის ვადაში და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში.

ლიზინგის საფასურის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია:

- საპაერო ხომალდის შესყიდვის ღირებულება;
 - გრძელვადიანი კრედიტის საპროცენტო განაკვეთი;
 - ლიზინგის ხელშეკრულების მოქმედების ვადები და შენატანების პერიოდულობა;
 - ამორტიზაციის თანხების დარიცხვის მეთოდი, გამოსყიდვის ნარჩენი ღირებულების ჩათვლით.
- ლიზინგის გამცემი ვალდებულია იღებს შეიძინოს ლიზინგის ამღებთან შეთანხმებული საპაერო ხომალდი და გადასცეს მას ამ საპაერო ხომალდით სარგებლობის უფლება, მაგრამ შეინარჩუნოს ფლობის უფლება.

ლიზინგის ხელშეკრულებით, როგორც წესი, განისაზღვრება; ლიზინგით – გამცემი პასუხს არ აგებს მომწოდებლის მხრიდან საპაერო ხომალდის მოწოდების შეფერხებაზე ან საპაერო ხომალდის ნებისმიერ ნაკლზე. ამ საკითხებზე ყველა პრეტენზია განიხილება ამღებსა და მომწოდებელს შორის. ლიზინგის ამღები პასუხისმგებელია საპაერო ხომალდის შენარჩუნებაზე, მესამე პირების მიერ საპაერო ხომალდებისათვის მიყენებულ ზიანზე. ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს საპაერო ხომალდის დამზღვევი და გამოყენებისას მისთვის მი-

ყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირი. დაზღვევა, როგორც წესი, ლიზინგით ამღების ხარჯზე ხდება.

ლიზინგის ხელშეკრულების მოქმედება წყდება, თუ:

– მომწოდებელმა არ შეასრულა მოწოდების ხელშეკრულების პირობები;

– ლიზინგის ამღები არღვევს ქირის პირობებსა და ვადებს, არ ასრულებს საპაერო ხომალდის ექსპლუატაციის პირობებს და სხვა.

ლიზინგის ხელშეკრულების ხელმოწერისას, ლიზინგის ამღები რიცხავს პირველ შენატანს, ხელს აწერს საპაერო ხომალდის მიღება-ჩაბარების აქტს (ლიზინგით გამცემის თანდასწრებით). ლიზინგით გამცემი მომწოდებელს აძლევს ყიდვის შეკვეთას, ატარებს მასთან ანგარიშსწორებას, ხსნის საბალანსო და არასაბალანსო ანგარიშებს, ავარებს შენატანების აღრიცხვას. ამასთან, ლიზინგით გამცემი

არ ერევა ლიზინგის ობიექტის შერჩევაში და შემოქმედებას ვერ ახდენს მის თვისებებსა და ხარისხზე.

ვადების მიხედვით ლიზინგი იყოფა ხანგრძლივ (სამი და მეტი წელი), საშუალო (1,5-დან სამ წლამდე) და მოკლევადიან (1,5 წლამდე) ლიზინგად. ლიზინგის ძირითადი სახეობებია: ფინანსური, უკუ და ოპერატიული.

საქართველოში, ზოგადად, ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 თავი, იჯარის – მე-5 თავი და ქირაფლობის – მე-3 თავი, ასევე „სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ“.

სტატიაში განხილული საკითხები საქართველოში რეგულირდება ზოგადად საერთაშორისო საპაერო სამართლის ნორმებით და, სამწუხაროდ, ნორმატიული აქტი ან კანონი საავიაციო ლიზინგის შესახებ ჯერჯერობით არ არსებობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

უმაღლესი კომერციული სკოლა „ავიაბიზნესი“, საინსტრუქციო მასალა (ქ. მოსკოვი, 2000).